პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, მისი ეფექტიანობა და თანამედროვე გამოწვევები საქართველოში

სალომე მალძიგაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ილია წიკლაური, დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სალომე მალძიგაშვილი_____25.06.2024

აბსტრაქტი

ტექნოლოგიური განვითარების პარალელურად იზრდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის დახვეწის საჭიროებაც. მიუხედავად იმისა, რომ პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება არ არის აბსოლიტური, მაინც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ძირითადი უფლებაა, რომლის ხელშეუხებლობაც კონსტიტუციით არის დაცული. ყველა ადამიანს აქვს უფლება დაიცვას საკუთარი ცხოვრება სხვების არასასურველი ყურადღებისგან, მათ შორის უფლება აქვს მისი პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობა იყოს დაცული. სწორედ ამიტომ არის საჭირო პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ინსტიტუტის არსებობა და განვითარება. მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნის აუცილებლობა განპირობებულია იმისათვის, რომ ორგანიზაციებს დაეხმაროს პერსონალურ მონაცემთა კანონიერად განხორციელებაში და ამავდროულად მონაცემთა დამუშავების სუბიექტებში გაზარდოს ცნობიერება მათ უფლებებზე პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით.

აღნიშნული ნაშრომის მიზანია, ნათლად წარმოაჩინოს საკანონმდებლო რეგულაციით დადგენილი მონაცემთა დაცვის ოფიცერის ინსტიტუტის საჭიროება და ეფექტიანობა, ასევე წარმოაჩინოს ქართული კანონმდებლობის ხარვეზები პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნის, კვალიფიკაციისა და უფლებამოსილებებთან დაკავშირებით იმისათვის, რომ აღნიშნული ინსტიტუტი არ ემსახურებოდეს მხოლოდ ბიუროკრატიულ მიზნებს და არ იყოს ფორმალური.

ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია დოქტრინალური კვლევის მეთოდი, ისტორიულ- სამართლებრივი მეთოდი, აღწერილობითი მეთოდი და შედარებით-სამართლებრივი მეთოდი.

კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა, რომელიც შეეხება პერსონალური მონაცემების დაცვას, დასახვეწია. რადგან არ არის კონკრეტულად გაწერილი დებულებები პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერთან დაკავშირებით,

ასევე ორგანიზაციებს აძლევს ფართო დისკრეციას თავად განსაზღვრონ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რაც ეჭვქვეშ აყენებს მის დამოუკიდებლობასა და ეფექტურობას.

საკვანძო სიტყვები: პერსონალური მონაცემები, მონაცემთა დაცვის ოფიცერი, კონფიდენციალურობა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ორგანო.

Abstract

With the advancement of technology, the necessity for enhanced personal data protection legislation has become increasingly critical. While the right to personal and family life is not absolute, it remains one of the most fundamental and essential rights, enshrined in the Constitution. Individuals have the right to shield their lives from unwarranted instrusion, which includes the protection of their personal data. Consequently, the existence and development of the Institute of the Personal Data Protection Officer are imperactive. The appointment of a data protection officer is essential as they facilitate the legal management of personal data within organizations and concurrently elevate the awareness of data proccessing subjects regarding their rights related to personal data.

The aim of this paper is to demonstrate the neccessity and effectivenes of the Data Protection Officer (DPO) institute as established by legal regulation. Furthermore, it aims to identify the shortcomings in Georgian Legislation regarding the appointments, qualifications, and power of the DPO. The goal is to ensure that the DPO institute does not merely serve bureacratic purposes but functions effectively and substantively.

In the preparation of this paper, several research methods were employed, including the doctrinal research method, the historical-legal method, the descriptive method, and the comparative-legal method.

Research has demonstrated that the current legislation in Georgia pertaining to personal data protection requires significant improvement, particularly due to the absence of specific provisions concning the role of the Personal Data Protection Officer.

Moreover, the legislation grants oranizations considerable discretion in the appontment of a DPO, raising concerns about the independence and efficacy of such officers.

Keywords: personal data, data protection officer, privacy, personal data protection authority.